საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2688 2017 წლის 27 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებულ შეზღუდვებზე გამონაკლისის დაშვების თაობაზე

1. „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოზე დაშვებულ იქნეს გამონაკლისი და არ გავრცელდეს:

ა) „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და მიეცეს თანხმობა, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა რიცხოვნობა „სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მართვის“ (პროგრამული კოდი: 35 01 04) პროგრამის ფარგლებში განსაზღვროს არა უმეტეს 123 ერთეულით;

ბ) „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და მიეცეს თანხმობა, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა რიცხოვნობა „მოსახლეობის

მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების“ (პროგრამული კოდი: 35 02 02) პროგრამის ფარგლებში განსაზღვროს არა უმეტეს 484 ერთეულით;

გ) „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და მიეცეს თანხმობა, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა რიცხოვნობა „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის“ (პროგრამული კოდი: 35 03 01) პროგრამის ფარგლებში განსაზღვროს არა უმეტეს 315 ერთეულით, მათ შორის, 15 ერთეული – შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული „ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის“ პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერის ფარგლებში;

დ) „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და მიეცეს თანხმობა, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა რიცხოვნობა „C ჰეპატიტის მართვის“ (პროგრამული კოდი: 35 03 02 12 01) პროგრამის ფარგლებში განსაზღვროს არა უმეტეს 30 ერთეულით;

ე) „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და მიეცეს თანხმობა, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა რიცხოვნობა „რეფერალური მომსახურების“ (პროგრამული კოდი: 35 03 03 09) პროგრამის ფარგლებში განსაზღვროს არა უმეტეს 20 ერთეულით;

ვ) „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და მიეცეს თანხმობა, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა რიცხოვნობა „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის

პროგრამის“ (პროგრამული კოდი: 35 03 03 11) ფარგლებში განსაზღვროს არა უმეტეს 4 ერთეულით;

ზ) „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და მიეცეს თანხმობა, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა რიცხოვნობა „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამის“ (პროგრამული კოდი: 35 05 02) ფარგლებში განსაზღვროს არა უმეტეს 36 ერთეულით;

თ) „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და მიეცეს თანხმობა, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა საშუალო შრომის ანაზღაურება განსაზღვროს არა უმეტეს 1 250 ლარის ოდენობით. ამასთან, ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომუშავეებიდან „ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის“ პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერის ფარგლებში 15 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულის საშუალო შრომის ანაზღაურება განსაზღვროს არა უმეტეს 5 500 ლარის ოდენობით.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებულ შეზღუდვებზე გამონაკლისის დაშვების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 7 მარტის №428 განკარგულება.

№1

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**